

## მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განსახილველად წარმოდგენილ კანონპროექტზე „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“

19 ივნისი, 2020

### 1. ინგლისურიდან ქართულ ენაზე თარგმნილი ტერმინები

ევროკავშირის ღირებულებებიდან ტერმინების ქართულად თარგმნისას, მნიშვნელოვანია სიფრთხილის გამოჩენა, ვინაიდან ისინი შემდგომ პრაქტიკაში უნდა იყოს გამოყენებული და ბუნებრივია, გავლენას მოახდენენ ლექსიკის განვითარებაზე. ამ თვალსაზრისით, კანონპროექტში განსაკუთრებით თვალშისაცემია ორი ტერმინი „ზიანის გასწორება“ („ზიანის გამასწორებელი ღონისძიებები“) და „გარემოსდაცვითი ზიანის ფონდი“. პირველ შემთხვევაში, გაუგებარია, რატომ არ არის გამოყენებული ქართულში, შესაბამის კანონმდებლობაში უკვე დამკვიდრებული სიტყვა „გამოსწორება“ ან „გამოსასწორებელი“, ან ინგლისური „remedial“-ის სხვა ქართული შესატყვისი - „...შედეგების აღმოფხვრა“ „[ზიანის, უარყოფითი შედეგების] აღმოფხვრის ღონისძიებები“. როგორ უნდა გასწორდეს ზიანი?!..

მეორე შემთხვევაშიც, ვფიქრობთ, ადგილი აქვს ინგლისური ‘environmental’-ის არასწორ თარგმანს. სამწუხაროდ, ეს შეცდომა ძალზე ხშირად გვხვდება, როდესაც ‘environmental’ ითარგმნება როგორც ‘გარემოს დაცვა’ ან ‘გარემოსდაცვითი’, მაშინ როდესაც ინგლისურ ‘environmental’-ში დაცვის ელემენტი საერთოდ არ დევს და პირდაპირი გაგებით ეს სიტყვა ნიშნავს ‘გარემოსთან დაკავშირებულს’. გარდა ამისა, ზიანი ადგება არა გარემოს დაცვას, არამედ გარემოს; შესაბამისად ფონდის დასახელება უნდა იყოს არა ‘გარემოსდაცვითი ზიანის ფონდი’, არამედ ‘გარემოსთვის მიყენებული ზიანის ფონდი’. დადებითი კონოტაციისთვის (სიტყვა “ზიანის” გარეშე) ფონდს შეიძლება, ასევე, ეწოდოს ‘გარემოს ფონდი (environmental fund) ან ‘გარემოსდაცვითი ფონდი’ (environmental protection fund). ანალოგიურად, გადასახელება ტერმინი „გარემოსდაცვითი რისკი“ - გარემოს დაცვის რისკი არ არსებობს.

### 2. მუხლი 2. კანონის რეგულირების სფერო

„...ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება... ე) გარემოზე მიყენებულ ზიანზე, რომელიც გამოწვეულია ამ კანონის ამოქმედებამდე განხორციელებული ქმედებით“.

კომენტარი: ეს საკითხი გარკვეულ ახსნა-განმარტებას საჭიროებს. ვრცელდება, თუ არა კანონის მოქმედება საქმიანობაზე, რომელიც ამ კანონის ამოქმედებამდე დაიწყო, მაგრამ ზიანი დადგა / გამოვლინდა კანონის ამოქმედების შემდეგ?

შესაძლოა, იყოს საქმიანობა, რომელიც ადრე იყო გზმ-ს დაქვემდებარებული საქმიანობა, მაგრამ შემდეგ არ მოექცა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის

დანართებში; ან ამ კოდექსის ერთი დანართიდან მეორეში გადაინაცვლა. ასეთ შემთხვევებზე, როგორც ვრცელდება კანონის მოქმედება?

### 3. მუხლი 2. კანონის რეგულირების სფერო

„5. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით მოწესრიგებულ მწვანე ნარგავების დაზიანების, განადგურებისა და ამოძირკვის, აგრეთვე მათი განზრახ დაზიანებისა და განადგურების შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესთან და ოდენობასთან დაკავშირებულ საკითხებზე“.

კომენტარი: გაუგებარია, რატომ არ ვრცელდება ამ კანონის მოქმედება თბილისის საზღვრებში არსებულ მწვანე ნარგავებზე, მიჩნეულია, რომ ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაცია საკმარისია? საკითხი არ არის განმარტებული განმარტებით ბარათში.

### 4. მუხლი 3. ტერმინთა განმარტებები

‘(ბ) გარემოზე მიყენებული ზიანი (შემდგომში - ზიანი) – სამრეწველო ავარიის ან/და ფიზიკური ან იურიდიული პირის ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის მიერ განხორციელებული უკანონო ქმედების შედეგად გარემოზე მიყენებული უარყოფითი ზემოქმედება. ზიანად არ ჩაითვლება გარემოზე მიყენებული ისეთი უარყოფითი ზემოქმედება, რომელიც წინასწარ იყო განსაზღვრული და აღნიშნულ ქმედებაზე, უფლებამოსილი ორგანოს მიერ, გაცემული იყო კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი უფლების მიმნიჭებული დოკუმენტი ან თანხმობა;’

‘ზ) მკაცრი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა - თუ მნიშვნელოვანი ზიანი გამოწვეულია ამ კანონის დანართი-2-ით გათვალისწინებული საქმიანობიდან გამომდინარე ან აღნიშნული საქმიანობიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობით, საქმიანობის განმასრვლებელ პირს ეკისრება გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა მიუხედავად მისი ბრალეულობისა. აღნიშნულ შემთხვევაში პირს ეკისრება მკაცრი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა და ამ მიზნით ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირის ბრალეულობის დამტკიცება საჭირო არ არის;’

კომენტარი: ბოლომდე ნათელი არ არის, კანონიერი (ავტორიზებული) საქმიანობით გარემოზე მიყენებულ ზიანს ეხება ეს კანონპროექტი, თუ უკანონო საქმიანობით მიყენებულ ზიანს? ტერმინთა განმარტებაში „ბ“ და „ზ“, ჩვენი აზრით, არ შეესაბამება ერთმანეთს. ამასთან „ზ“ არ შეესაბამება ტერმინების განმარტებას, თავისი ფორმით.

### 5. მუხლი 4. მნიშვნელოვანი ზიანის პრევენცია

ამ მუხლის მე-2 პუნქტი ავალდებულებს საქმიანობის განმასრვლებელს, საფრთხის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს დეპარტამენტს, სამინისტროს ცხელი ხაზის მეშვეობით. პრაქტიკაში, შესაძლოა, სამართლებრივი დავის საგანი გახდეს, მოქმედებდა, თუ არა საქმიანობის განმასრვლებელი ამ ნორმის შესაბამისად კონკრეტულ შემთხვევაში; ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს აქტი, რომელიც განსაზღვრავს სამინისტროს მიერ ცხელი ხაზის ოპერირების წესებს, მათ შორის, მიღებული ინფორმაციის სამინისტროს შიგნით ან სხვა უწყებებისთვის გადაცემის წესებს. თუ არსებობს ასეთი აქტი, სასურველია, მიეთითოს მუხლში.

### 6. მუხლი 6. ზიანის შეფასება და გადაწყვეტილების მიღება

‘3. ზიანის შეფასებისას დეპარტამენტი უფლებამოსილია მოიწვიოს ექსპერტები ან შეისყიდოს შესაბამისი საექსპერტო მომსახურება.’

კომენტარი: ექსპერტის შერჩევის კრიტერიუმები უნდა ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ თავიდან იქნეს აცილებული ინტერესთა კონფლიქტები და კორუფციის შესაძლებლობა.

### **7. მუხლი 8. მნიშვნელოვანი ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების განსაზღვრა**

კომენტარი: დაზიანებული გარემოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის ან პირვანდელ მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენისათვის (მე-5 პუნქტით განსაზღვრული საქმიანობა) შესაძლებელია საჭირო გახდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასება, ამიტომ ეს უნდა აისახოს კანონის ტექსტში - მე-8 მუხლის მე-5 პუნქტს უნდა დაემატოს „გ“ ქვეპუნქტი.

### **8. მუხლი 13. გარემოსდაცვითი რისკის ფინანსური უზრუნველყოფა**

ამ მუხლს სასურველია, დაემატოს პუნქტი: „[გარემოსდაცვითი] რისკის ფინანსური უზრუნველყოფის რაოდენობა შეიძლება (ან უნდა) განისაზღვროს გზმ-ის პროცესში“; ან „გარემოსთვის განსაკუთრებით საშიში საქმიანობის განმახორციელებელი პირი ვალდებულია/უფლებამოსილია შესაბამისი [გარემოსდაცვითი] რისკის ფინანსური უზრუნველყოფის რაოდენობა განსაზღვროს გზმ-ის პროცესში“.

როგორც კანონპროექტის განხილვაზე აღინიშნა, ამ მუხლით დარეგულირებული საკითხი დეტალურად კანონქვემდებარე აქტით დარეგულირდება (ეს აღნიშნულია, ამ მუხლის მეორე პუნქტშიც). ჩვენი მტკიცე რეკომენდაციაა, რომ ძირითადი პრინციპები და მიდგომები განისაზღვროს კანონით და გახდეს მსჯელობის საგანი კანონპროექტით დარეგულირებულ სხვა საკითხებთან ერთად. პრინციპებისა და მიდგომების კონკრეტულ პროცედურებში დეტალიზაცია შეიძლება მოხდეს კანონქვემდებარე აქტში.

### **9. მუხლი 14. ფონდის მიზანი და ფონდის სახსრების განკარგვა**

კანონპროექტში არ არის წარმოდგენილი ფონდის განმკარგავი კომისიის მუშაობის გამჭვირვალობის არანაირი გარანტია.

### **10. თავი III. ადმინისტრაციული სამართალდარღვევები და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება**

ამ თავით განსაზღვრულია სანქციები; ამასთანავე, კანონპროექტს ახლავს ცვლილებები ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის კოდექსებში. მეტად უცნაური და დამაბნეველი მიდგომაა. უკეთესია, ამ თავის შინაარსი გადავიდეს ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის კოდექსებში.

აქვე, ასევე, არ არის ნათელი, რის მიხედვით არის ამ თავში მოცემული საჯარიმო თანხები დაანგარიშებული.

### **11. დანართი 1. მნიშვნელოვანი ზიანის განმსაზღვრელი კრიტერიუმები**

#### **ბიომრავალფეროვნება**

როგორც ცნობილია, ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ბიომრავალფეროვნების შესახებ კანონპროექტზე, რომლითაც საერთოდ იცვლება დაცული სახეობების კატეგორიები. ასევე, მუშავდება ზიანის კომპენსაციის საკითხები. საჭიროა ამ ორი კანონპროექტი კოორდინირება.

„გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ კანონპროექტის მიხედვით, ბიომრავალფეროვნების კუთხით ზიანი ეხება მხოლოდ „საქართველოს წითელი ნუსხით“ დაცულ სახეობების ნაწილს და „ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციით (ბერნის კონვენცია) მკაცრად დაცული სახეობის ნაწილს. გაუგებარია, რატომ არ ეხება კანონპროექტი, ბერნის კონვენციის გარდა, სხვა მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით (კონვენციებითა და ხელშეკრულებებით) დაცულ სახეობებს, მაგალითად - ბონის კონვენციით დაცულ სახეობებს.

თუ კანონპროექტი ეხება ბერნის კონვენციით დაცულ სახეობებს, ის ასევე უნდა შეეხოს ამავე ბერნის კონვენციით დაცულ ჰაბიტატებს. ჰაბიტატებზე მიყენებული ზიანი გაცილებით თვალსაჩინოა, ვიდრე სახეობებზე მიყენებული ზიანი. ასევე, ჰაბიტატებთან დაკავშირებული საფრთხის პრევენციაც უფრო რეალისტურია.

კანონპროექტი ეხება „საქართველოს „წითელი ნუსხის“ სამ კატეგორიას (გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი - EN, გადაშენების უკიდურესი საფრთხის წინაშე მყოფი - CR და გადაშენებული ეროვნულ დონეზე მყოფი - RE), ანუ იცავს სახეობების ძალზე ცოტა რაოდენობას. მაგალითად, RE კატეგორიის სახეობებს ბუნებაში ვეღარ ნახავთ (ასეთებია, მაგალითად, თახვი - განადგურდა მე-19 საუკუნეში, ვეფხვი - ბოლო ეგზემპლარი მოკლეს 1922 წელს, თეთრმუცელა სელაპი - საერთოდ არ ბინადრობს საქართველოს სანაპირო წყლებში, ლედერერის ბრამეა - 100 წელზე მეტია, არავის უნახავს) და ზიანიც არ მიაღებათ. გაუგებარია, რატომ არ ეხება კანონი კატეგორიას „მოწყვლადი სახეობები“, მაშინ როდესაც, რეალურად, საქმიანობებმა სწორედ ამ სახეობებს შეიძლება მიაყენონ ზიანი.

ბერნის კონვენციის სახეობებისთვის ასეთი ჩანაწერი ძნელად გამოსაყენებელი იქნება პრაქტიკაში: „ბ.ბ) სხვა დანარჩენი სახეობების ინდივიდები განადგურდა, ან იმგვარად დაზიანდა, რომ განადგურების საფრთხე შეექმნა მათ ეროვნულ, ან ადგილობრივ პოპულაციებს“. შეფასებული უნდა იყოს ყველა სახეობის ყველა პოპულაცია, რომ ეს კრიტერიუმი გამოიყენო. თუმცა, კიდევაც რომ არსებობდეს ეს მონაცემები, ამ სახით კრიტერიუმის დაკანონება არ არის სწორი. შეიძლება რომელიმე სახეობის რამდენიმე ათეული ინდივიდის სიკვდილი არ გახდეს მისი პოპულაციის გადაშენების მიზეზი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ზიანი არ არის მნიშვნელოვანი.

„ბ.ა“ ქვეპუნქტს დატვირთვა არ აქვს, ვინაიდან იმეორებს „ა“ პუნქტის დებულებებს. სხვა სიტყვებით, „ბ.ა“ ქვეპუნქტი ახალს არაფერს ამბობს, ამ პუნქტით განსაზღვრული სახეობები ისედაც დაცული არიან „ა“ პუნქტით.

„ბ“ პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „ბ) „ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციით (ბერნის კონვენცია) მკაცრად დაცული სახეობის ერთი ინდივიდი მაინც განადგურდა ან იმგვარად დაზიანდა, რომ წარმოიქმნა მისი განადგურების საფრთხე ან/და ამით საფრთხე შეექმნა ზურმუხტის ქსელის საიტის შექმნის მიზანს და დანიშნულებას.

ასევე, უნდა დაემატოს „გ“ ქვეპუნქტი, რომელიც განსაზღვრავს ყველა სხვა დანარჩენ სახეობებზე მიყენებული ზიანის საკითხებს.

**აქვე აღსანიშნავია და ამ კანონპროექტის შემუშავებისას გასათვალისწინებელია, რომ „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ კანონპროექტის თანახმად, საქართველოში მობინადრე ყველა სახეობა გაერთიანდება „საქართველოს წითელ ნუსხაში“, ხოლო მათ შორის გამოიყოფა მკაცრად დაცული და დაცული სახეობები.**

რაც შეეხება დაცულ ტერიტორიებს, ამ ნაწილთან დაკავშირებით მწვანე ალტერნატივამ 2018 წელსაც წარმოადგინა შენიშვნები, მაგრამ ისინი ნაწილობრივაა გათვალისწინებული.

კანონპროექტის მიხედვით, მნიშვნელოვანი ზიანის განმსაზღვრელი კრიტერიუმები ეხება მხოლოდ დაცული ტერიტორიების შემდეგ კატეგორიებს: სახელმწიფო ნაკრძალს, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონას, ბუნების ძეგლს და აღკვეთილს. დღევანდელი მონაცემებით, საქართველოში ნაკრძალები, ეროვნული პარკების მკაცრად დაცული ზონები, ბუნების ძეგლები და აღკვეთილები წარმოადგენენ დაცული ტერიტორიების საერთო ფართობის დაახლოებით 30%-ს. ამრიგად, დაცული ტერიტორიების 70%-ის დაზიანება ამ კანონპროექტით არ მიიჩნევა მნიშვნელოვან ზიანად.

შინაარსობრივად არასწორია, რომ ეროვნული პარკის მხოლოდ მკაცრად დაცული ზონის დაზიანება ჩაითვლება მნიშვნელოვან ზიანად. გაუგებარია, რატომ არ უნდა განიხილებოდეს მნიშვნელოვან ზიანად

ეროვნული პარკის სხვა ზონების (ვიზიტორთა, მართვადი დაცვის და სხვ.) ფართობის დაზიანება მნიშვნელოვან ზიანად. ეროვნული პარკის (IUCN II კატეგორია) მართვადი დაცვის ზონა შინაარსობრივად იგივეა, რაც დაცული ტერიტორიის კატეგორია „აღკვეთილი“ (ინგლისურად - managed reserve, მართული ნაკრძალი - IUCN IV კატეგორია). ორივე მათგანი იქმნება იმ ბიომრავალფეროვნებით გამორჩეული ადგილის შენარჩუნებისთვის, სადაც საჭიროა ადამიანის ჩარევა და გადაუდებელი კონსერვაციული ღონისძიებების ჩატარება. ეროვნული პარკის ვიზიტორთა ზონა შინაარსობრივად იგივეა, რაც დაცული ტერიტორიის კატეგორია „ბუნების ძეგლი“ (IUCN III კატეგორია). ვიზიტორთა ზონაში, ისევე როგორც ბუნების ძეგლში, დასაშვებია ტურიზმი. ეროვნული პარკის ეს ზონა გაცილებით დაცულია, ვიდრე კანონპროექტით განსაზღვრული „აღკვეთილი“.

ბიომრავალფეროვნებაზე მიყენებულ მნიშვნელოვან ზიანად უნდა ჩაითვალოს ყველა კატეგორიის დაცულ ტერიტორიაზე მიყენებული ზიანი, მათ შორის, დაცულ ლანდშაფტსა და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიაზე მიყენებული ზიანი. ყველა ეს კატეგორია მნიშვნელოვანია ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის თვალსაზრისით. არ შეიძლება ვთქვათ, რომ ერთი კატეგორიის დაცული ტერიტორია მეორეს ჯობია - ყველას თავისი ადგილი აქვს. ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია ასეთი რამ არის - იქ სადაც ბიომრავალფეროვნებისთვის მნიშვნელოვანია აღკვეთილი ან დაცული ლანდშაფტი, უფრო მკაცრმა კატეგორიამ - მაგალითად, ნაკრძალმა - შეიძლება უარესი შედეგი გამოიღოს.

მნიშვნელოვანია კიდევ ერთი საკითხი: ამ კანონპროექტით (დანართი 2) განსაზღვრული გარემოსთვის განსაკუთრებით საშიში საქმიანობები პრაქტიკულად შეუძლებელია განხორციელდეს პირველი დანართის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დაცულ ტერიტორიებში (ან მიმდებარედ).

შესაბამისად, ეს კანონი ვერ დაიცავს ბიომრავალფეროვნებას, რადგან მისი რეგულაციები ეხება დაცული ტერიტორიების მხოლოდ 30%-ს რაც მთელი ქვეყნის ტერიტორიის არაუმეტეს 5%-ი იქნება. ბიომრავალფეროვნების უმეტესი ნაწილი კი ბინადრობს ამ ფართობის გარეთ, მაგალითად, საქართველოს ტყის ტერიტორიაზე (ყოფილი სამეურნეო ტყის ფონდი - ძველი ტყის კოდექსის მიხედვით). მაგალითად, რომელიმე საქმიანობის შედეგად რომ მოხდეს ისეთი ტყის ხანძარი, როგორც 2008 წელს ბორჯომის ხეობაში იყო, ამ კანონით არ ჩაითვლება ბიომრავალფეროვნებაზე მიყენებულ მნიშვნელოვან ზიანად. ამიტომ, პირველი დანართში, ბიომრავალფეროვნების ნაწილს უნდა დაემატოს „საქართველოს ტყის ტერიტორია“ და შემუშავდეს რაოდენობრივი ინდიკატორიც, თუ რა ფართობის ტყის განადგურება/დევრადაცია ჩაითვლება მნიშვნელოვან ზიანად. ეს მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ მე-2 დანართის მიხედვით, გარემოსთვის განსაკუთრებით საშიშ საქმიანობებს განეკუთვნება ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობა და სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობა. ეს საქმიანობები კი, როგორც წესი, საქართველოს ტყის ტერიტორიაზე ხორციელდება.

პირველი დანართის ამავე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ ქვეპუნქტში ჩამოთვლილ დაცულ ტერიტორიებზე მიყენებული ზიანი მხოლოდ მაშინ ჩაითვლება მნიშვნელოვნად, თუ ამ დაცულ ტერიტორიას დაუკარგა შემქნის მიზანი და/ან დანიშნულება.

დაცულ ტერიტორიებთან მიმართებაში ასეთი ფორმულირება არ გამოიყენება. დაცული ტერიტორიის 0.1%-ის, ან თუნდაც 10%-ის დაკარგვამ შეიძლება მას მიზანი არ დააკარგვინოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ბიომრავალფეროვნებაზე მიყენებული ზიანი არ იქნება მნიშვნელოვანი. ასეთი ფორმულირება - „მიზნის დაკარგვა“ შეიძლება გამოყენებული იქნას „ზურმუხტის ქსელის საიტისთვის“, მაგრამ არა ზიანის განსაზღვრის კონტექსტში.

აქვე, „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მნიშვნელოვან ზიანს განეკუთვნება ზურმუხტის ან/და რამსარის ტერიტორიაზე მიყენებული ისეთი ზიანი, რამაც მას დაუკარგა შემქნის მიზანი ან/და დანიშნულება. ერთ პუნქტში რამსარისა და ზურმუხტის საიტების გაერთიანება არასწორია.

იმ შემთხვევაში, თუ ზურმუხტის საიტს, საქმიანობის განხორციელების შედეგად აზრი დაეკარგება (განადგურდა პრიორიტეტული ჰაბიტატი), ქვეყანა ვალდებულია შექმნას ახალი საიტი იმ ჰაბიტატის დასაცავად; ხოლო ზიანი უნდა ანაზღაურდეს ნებისმიერი ზიანის გამო.

### **მიწა**

პირველი დანართის მე-2 ნაწილში აღნიშნულია მიწის დაბინძურების შემთხვევები, თუმცა, გაუგებარია, რა ტიპის დაბინძურებაზეა საუბარი: მხოლოდ ქიმიური დაბინძურება თუ ფიზიკური დაბინძურებაც, მაგალითად, მიწის დაბინძურება სამშენებლო ნარჩენებით, წიაღისეულის მოპოვებით, გამონამუშევარი ქანებით, მტვრით და ა.შ. აუცილებელია, რომ ყველანაირი დაბინძურება იყოს გათვალისწინებული.

### **წყალი**

არ არის გათვალისწინებული გარემოზე მიყენებული ზიანი, რომელიც ადგება ბიომრავალფეროვნებას და გარემოს სხვა კომპონენტებს ელექტროსადგურების მშენებლობისა და ფუნქციონირების დროს, მაგალითად, ჰესის ფუნქციონირებისას მდინარეში მხოლოდ ე.წ. „სანიტარული ხარჯის“ დატოვების შედეგად ან ამ ნორმის დაუცველობის შედეგად ჭალის ტყეების განადგურება/დეგრადაცია, პლანქტონისა და საკვები ნივთიერებების შემცირება, რაც შემდგომში თევზებსა და სხვა დაცულ სახეობებზეც აისახება, მაგალითად, თევზსავალის გაუმართავი ფუნქციონირების შედეგად.

გაუგებარია და განმარტებას საჭიროებს, რა იგულისხმება ტერმინში „წყლის/მდინარის დაშრება“.

## **12. დანართი 2. გარემოსთვის განსაკუთრებით საშიში საქმიანობები**

**12.1** წიაღის მოპოვების შედეგად მიყენებული ზიანის საკითხები, როგორც ეს წარმოდგენილია კანონპროექტში, არ პასუხობს არსებულ გამოწვევებს.

მე-2 დანართით განსაზღვრულ საქმიანობებში უნდა დაემატოს წიაღის მოპოვების ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობა (ბიომრავალფეროვნებას სწორედ ეს საქმიანობა აყენებს უდიდეს ზიანს), რომელიც არ შედის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 1 და მე-2 დანართებში და არ არის მიღებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ქვა-ხრემის მოპოვება, 25 ჰა/10-ჰაზე-ზე ნაკლებ ფართობზე გაცემული ლიცენზია).

**12.2** დანართში მოცემულ ჩამონათვალს უნდა დაემატოს მე-9 პუნქტი - „ნავთობის და გაზის ოპერაციები“.

**12.3** კანონპროექტს შემოაქვს უმნიშვნელოვანესი ვალდებულებები გარემოზე ზემოქმედების შეფასებას (გზშ) დაქვემდებარებული საქმიანობების განმახორციელებლებისთვის. კანონპროექტის მიღების და ამ ვალდებულებების შემოტანის შემდეგ (და შესაძლოა, წინმსწრებადაც), ძალზე მაღალია რისკი იმისა, რომ საქმიანობების განმახორციელებლები შეეცდებიან, აირიდონ ეს ვალდებულებები. ამის ყველაზე ნათელ შესაძლებლობად უნდა განვიხილოთ მსოფლიოში და საქართველოშიც გავრცელებული პრაქტიკა - პროექტის მცირე პროექტებად დაყოფა (ე.წ. ‘salami slicing’). ამ პრაქტიკას მიმართავენ იმისათვის, რათა დაიფაროს პროექტის მოსალოდნელი შედეგები და თავიდან იქნეს აცილებული პროექტის იმ საქმიანობების ჩამონათვალში მოხვედრა, რომელიც გზშ-ს ექვემდებარება.

აღნიშნულის თავიდან აცილების ერთ-ერთ ეფექტურ გზად განიხილება სკრინინგის ეტაპზე სხვა პროექტებთან კუმულაციურ ზეგავლენაზე ყურადღების გამახვილება. ამ მიდგომას ითვალისწინებს ევროკავშირის დირექტივაც და საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსიც (მე-7 მუხლის მე-6 პუნქტი). საქმე იმაშია, რომ კანონში ასეთი ნორმის არსებობის მიუხედავად, პრაქტიკაში, ამ ეტაპის გადაწყვეტილების მიღებისას, არც პროექტების განმახორციელებლები და არც სამინისტრო არ უთმობენ მას სათანადო ყურადღებას; უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, უგულვებელყოფენ ამ ნორმას.

პროექტის მცირე პროექტებად დაყოფის პრობლემას ეფექტურად უპასუხეს გერმანიამ, ავსტრიამ და უნგრეთმა, გამოიყენეს რა ერთმანეთის მსგავსი მიდგომები. ამ ქვეყნებში პროექტები ერთად განიხილებიან:

- თუ მათი მშენებლობა ან ოპერირება წარმოებს ერთი და იმავე ტერიტორიაზე ('საიტზე') და დაკავშირებული არიან ერთმანეთთან საერთო სამშენებლო ან ექსპლუატაციისათვის საჭირო შენობა-ნაგებობებით და ტექნიკით; ან
- პროექტებს შორის მჭიდრო სივრცითი კავშირია და მსგავს მიზნებს ემსახურებიან; ან
- თუ პროექტი არ ექვევა კანონით დაწესებულ ზღვრებში (ზვარზე დაბალია), მაგრამ სივრცობრივად დაკავშირებულია პროექტთან, რომელიც გზშ-ს ექვემდებარება, კომპეტენტური ორგანო ვალდებულია, მხედველობაში მიიღოს მათი კუმულატიური ზეგავლენები სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებისას; ან
- გზშ სავალდებულოა, თუ რამდენიმე მსგავსი სახის პროექტი ურთიერთდაკავშირებული არიან, მათ ახორციელებს ერთი და იგივე პირი, ან ერთზე მეტი პირი და ერთად, ჯამურად ეს პროექტები აღწევენ ან აჭარბებენ კანონით დადგენილ ზღვრებს.

ესპანეთში გზშ კანონმდებლობა პირდაპირ კრძალავს პროექტის მცირე პროექტებად დაყოფას. იაპონიაში კი, თუ პროექტის წარმოება/სიდიდე მცირედ ჩამოუვარდება კანონით დადგენილ ზღვარს, საქმიანობის განმახორციელებელი მაინც ვალდებულია, მიმართოს კომპეტენტურ ორგანოს სკრინინგის გადაწყვეტილებისთვის.

სხვა მიდგომები, რომლებიც პრობლემის მოსაგვარებლად იქნა გამოყენებული მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს საქართველოშიც:

- სკრინინგის გადაწყვეტილების მისაღები ვადის გაზრდა, რათა უზრუნველყოფილი იქნეს უკეთესი ხარისხის გადაწყვეტილებების მიღება: ევროკავშირის შესაბამისი დირექტივის თანახმად, სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების ვადა პროექტის განმახორციელებლის მიერ სრული ინფორმაციის წარდგენიდან 90 დღეს არ უნდა აჭარბებდეს. პრაქტიკაში, ევროკავშირში ეს ვადა შეადგენს 1.2 თვეს. კანადაში იგივე ვადა 45 დღეს შეადგენს, მონღოლეთში - 14 დღეს, დამატებით, 14 დღით გაგრძელების შესაძლებლობით.
- სამინისტროსთვის არასწორი, ყალბი, ცრუ ინფორმაციის წარდგენა შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულად და მოყვეს შესაბამისი პასუხისმგებლობა.
- ზოგა ქვეყანაში სავალდებულოა შესაბამისი სფეროების მართვაზე პასუხისმგებელი სააგენტოების წერილობითი კომენტარის მიღება სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებისას. საქართველოს შემთხვევაში, კოდექსს შეიძლება დაემატოს მიწის, წყლისა და ბიომრავალფეროვნების მართვაზე პასუხისმგებელი სამინისტროს დანაყოფების წერილობითი მოსაზრების მიღების ვალდებულება (ამასთან, მათთვისაც სავალდებულო უნდა იყოს ამგვარი მონაწილეობა სკრინინგის პროცედურაში).
- ზოგ ქვეყანაში სკრინინგის გადაწყვეტილების მისაღებად სპეციალური კომიტეტი არსებობს, რომლის შემადგენლობა იცვლება განსახილველი პროექტის შინაარსის და მიხედვით.

ჩვენი აზრით, აუცილებელია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში შეტანილ იქნეს ცვლილებები, ზემოაღწერილი გამოცდილების გათვალისწინებით. ამ საკითხზე ასევე იხილეთ საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის მიერ წარმოდებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურის აღსრულების კონტროლის მასალები<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ხელმისაწვდომია საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდზე: <https://bit.ly/2V0TwnW>